



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ - პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვერა ურულაშვილი

წევრები:

დავითი ჩივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ალა სანამიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ცოტნე გვაჯაია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დომინიკა აბაშიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ (საჯარო სამართლის იურიდიული პირი)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239402767

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი არგვეთი
ფაქტობრივი მისამართი	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი არგვეთი
საფოსტო ინდექსი	4000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	argveti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	არ აქვს

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 25 0000452851 28.04.2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 29-30 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი არგვეთი - 1 შენობა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი არგვეთი - 1 შენობა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი არგვეთი - 1 შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 29-30 მაისს სსიპ - პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტთან.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განვახორციელეთ ადგილზე ვიზიტით, ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, ZOOM-ის გამოყენებით. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა). ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი დისტანციურად შეხვდა დაწყებითი საფეხურის ქართული ენის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი საგნების, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებს და მიგნებები შეაჯერა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ ექსპერტებთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა



VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლაში STEM მიმართულების გაძლიერების მიზნით, STEM საგნების მასწავლებლები და მოქმედი STEM კლუბი “Argveti+” აქტიურად თანამშრომლობს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან არსებულ STEM კლუბ „ჩხირკედელასთან“, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ოლიმპიადებსა და კონკურსებში, ახორციელებენ არაერთ საინტერესო პროექტს.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა ჩართულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტში “STEM კონცეფცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო საუნივერსიტეტო პროგრამების განვითარებისთვის“. პროექტს თესაუსთან ერთად ახორციელებს კონსორციუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აწსუ), შპს „სთიმითი“ და კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრის შემადგენლობით. “STEM კონცეფცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო საუნივერსიტეტო პროგრამების განვითარებისთვის“ იწვევს, რომელიც ითვალისწინებს მოქმედ და მომავალ მასწავლებლებში STEM ცნობიერების ამაღლებას. პროექტის ფარგლებში გადამზადებას გადის სკოლის 4 მასწავლებელი (მათემატიკის, ისტ-ის, ფიზიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლები). აღნიშნულ პროცესებში ჩართულა კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრი (ვარშავა. პოლონეთი).

სკოლა თანამშრომლობს ამერიკის „მშვიდობის კორპუსთან“. სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს ჰყავს ამერიკელი მოხალისე მასწავლებელი. სკოლამ „მშვიდობის კორპუსთან“ თანამშრომლობის პირველი ნაბიჯები 2016 წელს გადადგა. სწორედ აღნიშნულ წელს მიიღო სკოლამ პირველი ამერიკელ მოხალისე მასწავლებელი, რომლის დამსახურებითაც კეთილმოეწყო, შესაბამისი ტექნიკითა და ლიტერატურით აღიჭურვა ინგლისური ენის კაბინეტი. სკოლას ჰყავდა მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის (FLEX) გამარჯვებულები 2015, 2018, 2019 წლებში.

სკოლა 2015 წლიდან ჩართული იყო USAID სამოქალაქო განათლების პროექტში, რომლის ფარგლებშიც გამოცხადებულ ტექნიკის კონკურსში სკოლას გადაეცა 450 დოლარის ღირებულების ტექნიკა, 2016 წელს სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი გახდა იმერეთის რეგიონის სამოქალაქო განათლების საუკეთესო მასწავლებლის ტიტულის მფლობელი.

სკოლა თანამშრომლობს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან, პროფესიულ კოლეჯებთან. ბოლო სამი წელია სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების ფაკულტეტთან, რაც გულისხმობს სკოლის მიერ საკვლევი საკითხის შერჩევას და განათლების ადმინისტრირების მაგისტრების მიერ კვლევის შედეგების ანალიზის რელევანტური ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელებას. აღნიშნულით ბოლო ორი წლის



მანძილზე მოხდა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, ვინაიდან სკოლამ საჭიროებად (საკვლევ საკითხად) სწორედ აღნიშნული გამოავლინა.

2023 და 2024 წლებში სკოლა ჩართული იყო "Technovation Girls Sakartvelo". სკოლას ჰყავდა როგორც ჯუნიორების ასევე სენიორების გუნდები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ისტ-ის მასწავლებელი . Technovation Girls საერთაშორისო კონკურსია, მასში საქართველო 2024 წელს უკვე მეორედ მონაწილეობდა. პროექტი ხორციელდებოდა ალტე უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სკოლის ორგანიზებითა და არასამთავრობო ორგანიზაცია Techdro - ს მხარდაჭერით და 2024 წელს, საქართველოს ყველა რეგიონიდან 13-დან 18 წლამდე ასაკის 730-ზე მეტი გოგონა და 250 მენტორი მონაწილეობდა. სკოლის გოგონათა 2 გუნდი (სენიორებისა და ჯუნიორების კატეგორიები) მონაწილეობდა ორივე წელს, 2024 წელს ალტე უნივერსიტეტში გამართულ შეჯიბრში "Technovation Girls Sakartvelo 2024", სენიორების გუნდის - Five sun rays-ის მიერ წარდგენილმა პროექტმა "Profesional orientation", 14 საუკეთესოთა შორის დაიკავა ადგილი და გუნდის ხუთივე მონაწილე მენტორ მასწავლებელთან ერთად 9-13 სექტემბერს გაემგზავრება ბანაკში, ცემში, კურორტ განთიადზე, სადაც იმართებოდა ტექნოლოგიური ბანაკი. სკოლის გოგონათა გუნდის მიერ წარდგენილი პროექტი მოიცავდა მათ მიერ შექნილ მობილურ აპლიკაციას, რომელიც დაინტერესებულ ახალგაზრდებს ეხმარება პროფესიულ ორიენტაციაში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა 350	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
3.4.1.2.		სკოლას მიეცა რეკომენდაცია: მკაცრად დაიცვას საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპაციური ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 41/ნ ბრძანების მოთხოვნები, საჭირო მედიკამენტების შეძენა მოხდეს შესყიდვების წესის მოთხოვნათა დაცვით, მოხდეს შესაბამისი ჟურნალების წარმოება გაცემული, ვადაგასული მედიკამენტების აღრიცხვის მიზნით. (27.06.2025-30.09.2025)
3.5.1.4.		სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაიცვას შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ვადები სწავლის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად (16.06.2025-01.06.2026 წ.)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

¹ გარდ მეთოდი სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

[illegible]



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.2		საგანში სახელმწიფო ენა დაზუსტდეს წლიური საათების რაოდენობა და გადაიხედოს კურიკულუმებით გაწერილი საათობრივი გადანაწილება სასწავლო თემებთან შესაბამისობა
2.1.2.4.		საგანში სახელმწიფო ენა დაწყებით საფეხურზე სემესტრულად ჩატარდეს დიაგნოსტიკური წერები სხვადასხვა შესაძლებლობის/ მიღწევების მოსწავლეთა გამოსავლენად. შესაბამისად, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, კათედრის წევრთა ურთიერთთანამშრომლობით დაიგეგმოს დიფერენცირებული აქტივობები//დავალებები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1		საგანში სახელმწიფო ენა მეშვიდე კლასის კურიკულუმში მითითებული თემატური ბლოკები დაზუსტდეს შესაბამისი სასწავლო თემებით.
2.1.2.2.		საგანში სახელმწიფო ენა დაზუსტდეს წლიური საათების რაოდენობა და გადაიხედოს კურიკულუმებით გაწერილი საათობრივი გადანაწილება სასწავლო თემებთან შესაბამისად. საგანში მათემატიკა: მათემატიკის VII-IX კლასების შუალედური მიზნების დანართებში ასევე შემაჯამებელ დავალებებში სასურველია ძველი სამიზნე ცნებები დარედაქტირდეს ახალი სამიზნე ცნებებით.
2.2.1.3.		საგანში სახელმწიფო ენა გადაიხედოს მეცხრე კლასის კურიკულუმის დანართებში #1, #3, #5 შემუშავებული შეფასების რუბრიკები. შემაჯამებელი დავალებისა და



		საგაკვეთილო შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმით განსაზღვრული ქულები ჩაშლილი სახით დაკონკრეტდეს.
.		
სტანდარტი N2	<i>სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)</i>	<i>რჩევა</i>
ინდიკატორი 2.1.2.4.		<i>საგანში სახელმწიფო ენა სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, შემდეგი სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება.</i>
ინდიკატორი 2.2.1.3.		<i>საგანში სახელმწიფო ენა შემაჯამებელი დავალებების მიზნობრივ შესაბამისობაში მოსაყვანად, (როდესაც შეფასების ინსტრუმენტი წერილობითი ფორმითაა) შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს კრიტერიუმი - ნაწერის ორგანიზება (აბზაცი, მართლწერა) შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმით განსაზღვრული ქულები ჩაშლილი სახით დაკონკრეტდეს.</i>
2.1.2.3.		<i>საგანში მათემატიკა: მათემატიკის X-XII კლასების შუალედური მიზნების დანართებში, ასევე შემაჯამებელ დავალებებში სასურველია ძველი სამიზნე ცნებები დარედაქტირდეს ახალი სამიზნე ცნებებით</i>

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია ის აქტივობები, რომელთა საშუალებითაც სკოლა უზრუნველყოფს ყველა სტანდარტის მოყვანას ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში. ასევე სკოლამ წარმოადგინა გათვლილი შესაბამისობის რისკები და რისკის დადგომის ალბათობა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის გააზრებული. მორგებულია კონკრეტულად სკოლას. გათვალისწინებულია სკოლის ძლიერი მხარეების გამოყენების შესაძლებლობა. შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან. ხელს უწყობს მოსწავლეების მომავალ წარმატებას, მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა სასკოლო საზოგადოებისათვის წარმოადგენს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია. ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება წელიწადში 4-ჯერ და განიხილავს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პროცესებს და გეგმავს სამომავლო აქტივობებს. მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. დღისა და ღამის უსაფრთხოებას აკონტროლებს 2 დარაჯი. კონტროლდება ასევე უცხო პირთა გადაადგილება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე.

სკოლაში შექმნილი სოციო-კულტურულ სივრცე ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას მნიშვნელოვან საქმიანობაში. მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაცვალონ იდეები და გავითარდნენ.



მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით ტარდება სამუშაო შეხვედრები. ტარდება კათედრებზე ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილები. სკოლას დაგეგმილი აქვს საინტერესო აქტივობები, რათა სკოლა მოიაზრებოდეს არა მხოლოდ სასკოლო საზოგადოების, არამედ მთლიანი თემის სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლის მისიასა და ხედვაში გაცხადებული მიზნები სასკოლო საზოგადოებას უქმნის როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური უსაფრთხოების განცდას.

21-ე საუკუნის მოსწავლეს უნდა გააჩნდეს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, განვითარებული უნდა ჰქონდეს წიგნიერების, ციფრული და მედიაწიგნიერების უნარები, გამოწვევებით სავსე ცხოვრებაში უნდა შეძლოს საკუთარი ძალების რეალიზაცია, სწორედ ამიტომ, სკოლა ხედვაში გაცხადებული მიზნების მისაღწევად ამრავალფეროვნებს STEM საგნების სწავლებას. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბურ და პროექტულ სწავლებებს, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციას უნივერსიტეტებთან და პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობით.

მისიისა და ხედვის შესასრულებლად სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს კლუბური მუშაობა. სკოლაში აქტიურად მუშაობს შემდეგი კლუბები:

- სამოქალაქო განათლების კლუბი;
- დებატ.კლუბი;
- წიგნის მკითხველთა კლუბი;
- STEM კლუბი;
- ინგლისური ენის კლუბი;

სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართული მშობლები და თემის წევრები. სკოლაში იმართება ეროვნული და საერთაშორისო დღესასწაულები, კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ თემის წარმომადგენლები და მეზობელი სკოლები. სკოლა საკუთარ გამოცდილებას უზიარებს სხვა სკოლებს.

სკოლას აქვს ლოგო, ვებ. გვერდი <https://skolebi.emis.ge/>

Fb გვერდი <https://www.facebook.com/argveti>

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განახორციელა სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები), სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებები. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან როგორც მასწავლებლები, მშობლები, ისე მოსწავლეები. ჯგუფის წევრები მოქმედებდნენ სკოლის მიერ დამტკიცებული



სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელშიც გაწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომელზე დაყრდნობითაც ხდება სკოლის ფილოსოფიის, გრძელვადიანი სტრატეგიული გავითარების და მოკლევადიანი-ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა. თავდაპირველად შეადგინეს კითხვარი მშობლებისთვის, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის.

კითხვარის შევსებისთვის განისაზღვრა ორი კვირა.

კითხვარის გაანალიზების შემდეგ, სკოლამ განახორციელა საკუთარი საქმიანობის SWOT ანალიზი. ამის შემდეგ შეიქმნა სკოლის ფილოსოფიის პროექტი, რომელიც წარედგინა განსახილველად პედაგოგიურ საბჭოს, ხოლო დასამტკიცებლად-სამეურვეო საბჭოს. სკოლის ფილოსოფია შეადგენს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის ნაწილს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის ფილოსოფიის პროექტი განიხილა სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ და დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი მიზნების შესაბამისად, შემუშავდა კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმა თავისი შემადგენელი ნაწილებით, საგნობრივი კურიკულუმები, ადამიანური რესურსებისა და უსაფრთხოების პოლიტიკა, მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები, მოსწავლის ადაპტაციის, უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მექანიზმები, გადამუშავდა არსებული შინაგანაწესი. ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების შექმნის პროცესში სასკოლო საზოგადოება სრულად იზიარებდა სკოლის ფილოსოფიას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ ვებ- და FB გვერდზე, ასევე საჯაროდ - სკოლის საონფორმაციო დაფაზე. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილია ის სამუშაოები და სქემა, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის გაზიარებისთვის:

ა) სკოლის ვებ-გვერდი;

ბ) ელექტრონული ფოსტა;

გ) სოციალური ქსელი;

დ) საჯარო განხილვა-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან;

ე) სკოლის სტენდი, საინფორმაციო დაფა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს



7. სკოლის სახელწოდება „სსიპ-პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა“ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N 448 ბრძანებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 8 ოქტომბრის 132/ნ ბრძანებით სკოლის სახელწოდებაში შევიდა ცვლილება და მიენიჭა პაოლო იაშვილის სახელი. აღნიშნული სახელწოდება ფიქსირდება სკოლის ბეჭედზე და ტიტულიან ფურცელზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე;

სამეურვეო საბჭოს ოქმი 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებაზე (რომლის ნაწილია სკოლის ფილოსოფია)

პედაგოგიური საბჭოს ოქმი 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის განხილვაზე (რომლის ნაწილია სკოლის ფილოსოფია) ; ✓

სკოლის ვებ- გვერდი;

სამუშაო ჯგუფის ოქმი სკოლის მისია, ხედვა ღირებულებების შემუშავებაზე; ✓ სკოლის fb გვერდი;

ბრძანებები სამუშაო ჯგუფის შექმნაზე;

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებებით. მასში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლის ფილოსოფიის, გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები, სტრატეგიული დაგეგმვისას სკოლა იცავს თანამონაწილეობის, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებების პრინციპებს. სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პოცესში ჩართული არიან შემდეგი მხარეები: ა) დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი; ბ) სასკოლო საზოგადოება (სკოლის დირექცია, თანამშრომლები, მასწავლებლები, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეები, მშობლები). დირექტორის მიერ შექმნილი ჯგუფი სამოქმედო გეგმის პირველ ეტაპზე იწყებს ინფორმაციის შეგროვებას, სასკოლო დოკუმენტაციის დამუშავებასა და ანალიზს, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პირველი საფეხურის დასრულების შემდგომ, მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება სიტუაციის ანალიზი SWOT ანალიზის მეთოდოლოგიით. პირველი ეტაპის ბოლოს ხდება სიტუაციის ანალიზის განხილვა და უკუკავშირის მიღება. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სამუშაო ჯგუფი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასთან, ისმენს მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების საბოლოო შემუშავებულ დოკუმენტში ასახავს. შეგროვებული ინფორმაცია და ანალიზი, მუშავდება და გამოიყენება შემდგომი სამოქმედო გეგმა/ გეგმების განსაზღვრაში. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:



- ა) სკოლის სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა; ბ) დირექტორის მიერ პედაგოგიურ საბჭოზე წარდგენა და განხილვა;
- გ) მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით სკოლის დირექტორის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა;
- დ) სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება;
- ე) საბოლოოდ ჩამოყალიბებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. სტრატეგიულ მიზნებისა და ამოცანებზე დაყრდნობით ხდება პრიორიტეტების იდენტიფიცირება და შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების პროექტების ფორმირება.
- ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და მოიცავს 2024 -2031 წლებს. დოკუმენტი შედგენილია მისიასა და ხედვაში გაცხადებული მიზნების შესასრულებლად. სკოლის შესაძლებლობისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/ მოვალეობების განხორციელებისთვის სსიპ პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლას დადგენილი აქვს 2024-2031 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
2. პროფესიული განათლების დანერგვა/განვითარება;
3. ადამიანური რესურსის განვითარება;
4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
5. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
6. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
7. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
8. ორგანიზაციული განვითარება;
9. STEM მიმართულების გაძლიერება; თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ იყოფა ამოცანებად.

აღსანიშნავია, რომ სკოლის შვიდწლიან გეგმაში იყო ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, გეგმაში იყო მოცემული არა 2031, არამედ 2030 წელი. ექსპერტების ვიზიტის დროს სკოლას მიეთითა ამ უზუსტობაზე, სკოლის დირექტორის მიერ ჩატარდა ყველა საჭირო ღონისძიება და დირექტორის ბრძანებით ცვლილება შევიდა სკოლის გრძელვადიან გეგმაში. გეგმა წარედგინა ხარისხის განვითარების ცენტრს და ექსპერტებს გასაცნობად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. მაგალითად, თუკი შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ მიმართულებად განსაზღვრულია STEM მიმართულების გაძლიერება, ერთწლიან გეგმაში აღნიშნული მიმართულება ჩაშლილია შემდეგ ამოცანებად: STEM კლუბის შექმნა და განვითარება. ამოცანები კი - აქტივობებად: კლუბის შექმნისთვის აუცილებელი პროცედურების განხორციელება (ლოგოს შექმნა, კლუბის წესდების შექმნა, სამოქმედო გეგმის შექმნა).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტი

შვიდწლიანი და ერთწლიანი გეგმები;

პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმები;

სამუშაო ჯგუფის ოქმები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; სკოლას აქვს შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია, მონიტორინგის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, როგორ ხდება მონიტორინგი და ვინ არის ამ პროცესზე პასუხისმგებელი. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის ანგარიში ხორციელდება ყოველ ორ წელიწადში და შვიდი წლის გასვლის შემდეგ (შემაჯამებელი) ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ - სასწავლო წლის ბოლოს. თუმცა პროცესებზე დაკვირვება მიმდინარეობს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. შესაძლებელია არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. ხოლო სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. გამომდინარე იქიდან რომ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი დამტკიცებულია 2024 წლის ივნისში, შესაბამისად, მასში აღწერილი სქემის მიხედვით არ განხორციელებულა სამოქმედო გეგმების მონიტორინგი. სკოლა გასულ წლებში შეიმუშავებდა გეგმებს, ადგენდა მის მონიტორინგს, თუმცა ეს არ ხდებოდა რაიმე დამტკიცებული სქემის შესაბამისად. გეგმების შესრულების ანგარიშს კი დირექტორი წარადგენდა ყოველი წლის დეკემბერში სამეურვეო საბჭოს წინაშე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, ამ დროს ხდება დეკლარირებული მიზნების მიღწევის შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება და პასუხისმგებლობის გაზიარება ამ გამომწვევებთან გამკლავებაში.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები უნდა გასაჯაროვდეს ყველა საკომუნიკაციო არხით, რომელსაც სკოლა იყენებს. აქმდე შედეგები აისახებოდა სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმებში. ვინაიდან, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სასწავლო წელს, 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები გამოქვეყნდება სკოლის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, გეგმების შესრულების ანგარიში უნდა გახდეს



მომდევნო წლის სამოქმედო გეგმების შედგენის ცვლილებების საფუძველი. ეს ასეც ხდებოდა გასულ წლებში, თუმცა არ იყო გაწერილი წესის შესაბამისად.

2024-2025 სასწავლო წელს სკოლა მოქმედებს დადგენილი წესის შესაბამისად.

წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გაფორმდება სკოლის დირექტორის ანგარიშის სახით. ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მიმდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგია;

სკოლის დირექტორის ანგარიში;

გასული წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

გასული წლების დირექტორის ანგარიში სამეურვე, და მრჩეველთა საბჭოებს.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;



2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სკოლაში დასაქმებული ყველა პირის შეთანხმებული, გუნდური მუშაობა. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, დირექცია, ადმინისტრაცია, მრჩეველთა საბჭო. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის პერსონალის ფუნქციები, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. პირების ფუნქცია-მოვალეობები რეგულირებულია პერსონალთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებებით. სკოლის თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც დეტალურად აღწერს დასაქმებულის პოზიციაზე შესასრულებელ ფუნქცია - მოვალეობებს. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან საქართველოს შრომითი კოდექსის მოთხოვნათა სრული დაცვით. სკოლას აქვს შესაბამისი წესით დამტკიცებული კათედრის დებულება, სკოლაში საქმიანობს ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის წევრებიც გადაწყვეტილებებს იღებენ კომპეტენციის ფარგლებში.

სკოლას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სამტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია თანამდებობები/პოზიციები და რაოდენობა. სკოლა ვაკანტურ ადგილზე განცხადების გამოქვეყნებისას, როგორც შიდა ისე ღია კონკურსებზე, დეტალურად აღწერს შესასრულებელი სამუშაოს ფუნქციებს. ასევე სკოლაში დასაქმებულ პირზე დამატებითი ფუნქციის განსაზღვრისას, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება დამატებითი ვალდებულების, კონკრეტული პასუხისმგებლობის დაკისრება. მაგალითად, სკოლაში შეიქმნა სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, ასევე დირექტორის ბრძანებითაა დამტკიცებული ხარისხისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი, ბრძანების პროექტი ეცნობა თანამშრომელს, რაზედაც იგი გამოთქვამს მზაობას შეასრულოს დაკისრებული ფუნქცია, ხოლო შემდგომ უკვე გამოიცემა ბრძანება და მტკიცდება კონკრეტული ფუნქცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.



სკოლაში დასაქმებული პირები ითავსებენ როგორც ადმინისტრაციულ, ასევე საგაკვეთილო პროცესს. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის პერსონალის ფუნქციები, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. სკოლაში შემუშავებულია არაერთი მარეგულირებელი დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ სკოლის ფუნქციების განაწილებაში არ იყო მკაფიოდ გაწერილი ზოგიერთი საშტატო ერთეულის ფუნქციები (მაგ. საინფორმაციო მენეჯერის, ცეცხლფარემის ფუნქციები), რაც შესწორებული იყო ექსპერტთა ვიზიტის დროს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის საშტატო განრიგი;

სკოლის სტრუქტურა;

თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;

მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება.

სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის პერსონალის ფუნქციების განსაზღვრის შესახებ;

სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

სტრუქტურული ერთეულების ოქმები სამოქმედო გეგმებზე;

კათედრის დებულება;

ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;



3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, სკოლის შინაგანაწესითა და თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლას აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა და შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. მათ შორის, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასების საკითხს, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირების მიზნით და შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებებს საკითხს. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის ხედვასა და ღირებულებებს. შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის მიერ შემუშავებულ რამდენიმე დოკუმენტს: სკოლას აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი:

- ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და სტრატეგია;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლი სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში;
- ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება;
- ადამიანური რესურსების მართვა;



- თანამშრომელთა პროფესიული განვითარება;
- სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა;
- პროფესიული განვითარება;

დასახული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია შემდეგი საკვანძო პრინციპები: შეფასების როლი, რომელიც განვითარებაზეა ორიენტირებული და არა კონტროლზე; სკოლის პერსონალთა შორის პასუხისმგებლობის დელეგირება და ანგარიშვალდებულება; შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის წახალისება; ავტონომიისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა; სანდომიანი პრევენციული სისტემის არსებობა და მხარდაჭერა. სკოლაში არსებული პერსონალთა ანგარიშების წარდგენის პრაქტიკა, იძლევა სურათს მათი ძლიერი და სუსტი მხარეების, საჭიროებების შესახებ; სკოლაში შექმნილია „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და ხარისხის მართვის ჯგუფი“, რომელიც დირექციასთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას იზრუნოს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, განავითაროს სკოლის თანამშრომლობითი კულტურა.

სკოლის შინაგანაწესი არაგულირებს დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოს სკოლამ თანამშრომლის ფუნქციების სხვაზე დელეგირება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესების არ შეფერხდეს. მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულია დირექტორის მოადგილე, რის საფუძველზეც სკოლის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის უფლება-მოვალეობა და პასუხისმგებლობა გადადის მასზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში პერსონალის შერჩევის პროცედურები რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, რომელიც უზრუნველყოფს ვაკანსიის შესაბამისი კადრის მოზიდვას და დასაქმებას გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპის კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. სკოლაში ადამიანური რესურსის (განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის) მიღება ხორციელდება ღია კონკურსის წესით. კონკურსის ორგანიზებისას იქმნება საკონკურსო კომისია, დირექტორის ბრძანებით, განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები, კონკურსი ცხადდება ვებგვერდზე - <http://teacherjobs.ge/>, სადაც აპლიკანტები წარმოადგენენ განაცხადს. კონკურსის პირველ ეტაპზე ხორციელდება აპლიკანტთა დოკუმენტაციის გადარჩევა, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, მეორე ეტაპზე აპლიკანტებს იწვევენ კომისიასთან გასაუბრებაზე, სადაც ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით, კონსენსუსის გზით მიიღება გადაწყვეტილება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლისთვის მნიშვნელოვანია, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდეს დაკავებულ პოზიციას.



ამიტომ, ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისას ხაზგასმით მიეთითება შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. სკოლას ამ დროისთვის ჰყავს 4 მენტორი, 13 წამყვანი და 8 უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 2 დარაჯი, 3 დამლაგებელი. მათი კვალიფიკაცია დასტურდება პირადი საქმეებით, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლისათვის მნიშვნელოვანია ორგანიზაციული კულტურის დანერგვა. სასკოლო საზოგადოებაში წახალისებულია თანამშრომლობითი კულტურა და გუნდურობა. თანამშრომლებს აქვთ „ჩვენ“ განცდა სიახლეების დანერგვისა და გადაწყვეტილების მიღებისას. ზემოაღნიშნული მიიღწევა პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთა თათბირებსა და სხდომებზე. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ, სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტების (სასკოლო გეგმა, ბიუჯეტი), კომპეტენციების გათვალისწინებით, ერთობლივად შემუშავების პროცესი.

სკოლაში შექმნილია საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა პროფესიულ საკითხებს, კათედრის დებულებაში ერთ-ერთ პუნქტად გაწერილია სხვა კათედრებთან თანამშრომლობის ვალდებულება. სკოლაში მუშაობს ხარისხისა და პროფესიული განვითარების გუნდი. სკოლის მართვაში ჩართული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, საბჭოები, თანამშრომლები, მასწავლებლები, მშობლები და სხვა. დელეგირებულია ცალკეული უფლება-მოვალეობები თანამშრომლებზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის თანამშრომელთა საქმიანობის პროცესში, დაკისრებული მოვალეობის სწრაფად, ეფექტიანად და მაღალპროფესიულ დონეზე შესრულების შემთხვევებში, სკოლის დირექცია მაქსიმალურად ცდილობს შეუმჩნეველი არ დატოვოს და კონკრეტული თანამშრომლები წახალისოს სხვადასხვა ფორმით, (მატერიალური, ფინანსური, საჯაროდ მადლობის გამოცხადება). სასკოლო საზოგადოების საქმიანობაში მიღწევების, გამარჯვების, წარმატების აღიარება და წარმოჩენა ხდება სკოლის სოციალურ გვერდზე, სადაც მუდმივად ქვეყნდება თითოეული მასწავლებლის განხორციელებული აქტივობები, რომელსაც საზოგადოება ეცნობა და აფასებს.

სკოლის შინაგანაწესში აღწერილია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი და დასაქმებულთა წახალისების ფორმები.



ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის შემქნის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლის მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სკოლის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის ღონისძიებების ორგანიზების საკითხს, რისთვისაც გათვალისწინებული აქვთ თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა.

სკოლაში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით შექმნილია ასევე მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმებს პედაგოგები განიხილავენ ასევე საგნობრივ კათედრებზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით იკვეთება, რომ კათედრებზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება, კათედრის წევრთა შორის იგეგმება ურთიერთდასწრება და ხდება უკუკავშირის მიცემა. გარდა ამისა, სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული აქვს პერსონალის შესრულებული სამუშაოს შეფასების საკითხი. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, სკოლა პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას აწარმოებს სისტემატურად. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე კი გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლას სატრენინგო მომსახურებები გათვალისწინებული აქვს შესყიდვების ერთიან გეგმაშიც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების საკითხს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.

სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა ინფორმირებას არსებული პროფესიული განვითარების ტრენინგების, კარიერული წინსვლის აქტივობების შესახებ. ეს ხელს უწყობს, მასწავლებელთა პროფესიული ზრდის უწყვეტობას. „მასწავლებელთა



პროფესიული განვითარებისა და ხარისხის მართვის ჯგუფი“ყოველი სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს გაწეული მუშაობის შედეგს და შესაბამისად გეგმავს ახალ სამოქმედო გეგმას. მასწავლებლებს ინდივიდუალურად ეძლევათ უკუკავშირი და აქვთ შესაძლებლობა საკუთარი პრიორიტეტებისა და საჭიროების გათვალისწინებით დაგეგმონ პროფესიული ზრდა, რისთვისაც შეუძლიათ გამოიყენონ სკოლის ბაზაზე არსებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული ტრენინგები და სხვა შესაძლებლობები.

სკოლის მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკა მათი სამუშაო პროცესების თვითშეფასების, აღნიშნულს ადასტურებს მათ მიერ განხორციელებული აქტივობების რეფლექსიები, სადაც თავადვე გამოკვეთენ საკუთარ სუსტ და ძლიერ მხარეებს, ისახავენ სუსტი მხარეების მოგვარების გზებს.

მასწავლებელთა საჭიროებების დადგენისა და გამოვლენილი პრობლემების რელევანტური ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით სკოლაში ეფექტურად მუშაობს კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით ორგანიზებული შეხვედრები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლა უქმნის პერსონალს მუდმივი განვითარების შესაძლებლობას, აღიარებს და სათანადოდ აფასებს მათ წარმატებას, რაც ხელს უწყობს მათ ტრანზიციასა და კარიერულ წინსვლას. აღნიშნულის დასტურია ბოლო წლებში მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებები. კერძოდ, 2015 წლიდან სტატუსი შეიცვალა 17 მასწავლებელმა. სკოლაში მიღებულია რამდენიმე მასწავლებელი, რომლებსაც არ ჰქონდათ პედაგოგიური გამოცდილება, რომელთა ინტეგრაციასაც სკოლამ შეუწყო ხელი გამოცდილი მასწავლებლების მათზე ფასილიტაციით. სკოლაში პრაქტიკას გადიან მომავალი პედაგოგები, რომლებთანაც მუშაობენ სკოლის მენტორი და წამყვანი მასწავლებლები. სკოლის საქმისმწარმოებელი და ბუღალტერი თითქმის ყოველწლიურად ესწრებიან სხვადასხვა ფასიან თუ უფასო ტრენინგებს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა თანამშრომლების სასკოლო გარემოში ინტეგრირებას მაქსიმალურად უწყობს ხელს. სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით, აქტიურად მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია, როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის, ისე სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლაში წახალისებულია არაფორმალური ურთიერთობების ინიციატივები, რაც თავის მხრივ ამტკიცებს თანამშრომელთა ჯანსაღ, კოლეგიალურ პარტნიორობას ფორმალურ საქმიანობაში. მასწავლებლების ინტეგრაციისთვის სკოლის მიერ ეწყობა გაცნობითი ხასიათის



შეხვედრები, ახალ მასწავლებელს/თანამშრომელს სკოლა აცნობს თანამშრომლებს, პედაგოგიურ საბჭოზე ხდება ახალი მასწავლებლის წარდგენა, რათა ადვილად მოხდეს ინტეგრაცია. ახალ თანამშრომელს სკოლა აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას, ათვალიერებინებს სასკოლო სივრცეს, მოსწავლეებს ახალ მასწავლებელს სკოლის დირექტორი წარუდგენს.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-7, მე-8 და მე-9 მუხლები მკაფიოდ და დეტალურადაა განმარტებული და აღწერილი, თუ რას აკეთებს სკოლა თანამშრომელთა ადაპტაციისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია პერსონალის მოტივირება და წახალისება, რომელიც გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას და მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. წახალისების მექანიზმებს ვხვდებით სკოლის შინაგანაწესშიც, რომლის შესაბამისადაც, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. პერსონალის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;

კათედრის ოქმები;

პერსონალის ადაპტაციის წესი;

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

თანამშრომელთა სერტიფიკატები/ცნობები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ 2024 წლის სექტემბერში დაამტკიცა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც შეიქმნა კანონმდებლობის დაცვით და რომლითაც დარეგულირებულია სწავლა-სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვა.



აღნიშნული დოკუმენტი ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი მუდმივი განვითარებისთვის ხელისშეწყობა. სკოლაში მიმდინარეობს ორი ტიპის შეფასება:

- ა) შიდა შეფასება - რომლის სისტემაც დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე;
 - ბ) გარე შეფასება - რომელსაც წარმოადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ავტორიზაციის გავლა.
- აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის შემოწმების პროცედურები.

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა არის ციკლური ხასიათის, რომელიც შემუშავებულია სკოლის ფილოსოფიაზე დაყრდნობით და ემსახურება ხარისხის უზრუნველყოფას. მას ეფუძნება სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია გეგმების შეფასების რაოდენობა და პერიოდები, რომელსაც შემდგომ მოსდევს ისევ დაგეგმვა, დანერგვა და შეფასება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის შესაბამისადაც, სკოლის პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. სკოლის მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა. სკოლის ძირითადი პროცესები კი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. რაც შეეხება სკოლის დამხმარე პროცესებს, ის მოიაზრება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოებას, მოსწავლისა და საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელებას, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვას, უსაფრთხოების უზრუნველყოფას და წესრიგის დაცვას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, საქმისწარმოებასა და (დოკუმენტბრუნვა) კარიერული განვითარებას.

სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში. მათ შორის, შინაგანაწესში, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, კურსკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნული პროცესების აღწერას მოიცავს ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტები.



სკოლაში არსებული დამხმარე პროცესებს განსაზღვრავს სკოლის საქმისწარმოების წესი და სკოლის საქმიანობა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ასევე, სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია იმ მარეგულირებელი დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც აღნიშნული მიზნით აქვს სკოლას შექმნილი. ასევე იმ სტრუქტურული ერთეულებისა თუ შტატების ჩამონათვალი, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ სკოლაში და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვას.

ამ მიზნით:

- სკოლას აქვს შინაგანაწესი;
- სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო;
- სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი;
- სკოლას ჰყავს მანდატურები;
- სკოლის ექთანი;
- თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;
- სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

სკოლის მიერ შემუშავებულ და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ მოსწავლის, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სკოლის შინაგანაწესით მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები სასკოლო სასწავლო გეგმასთან და ზოგადად, სკოლაში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში. მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის ყველა თანამშრომელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ არამართლზომიერი ქმედებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება პიროვნების გამოხატვის თავისუფლება,



რწმენის თავისუფლება, აკადემიური თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, პირადი საიდუმლოება, სამართლიანი მოპყრობის უფლების, საჯარო ინფორმაციის გაცემის, სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობის მექანიზმები. აღნიშნული პირების კანონიერი უფლებების დაცვას უზრუნველყოფს ასევე სკოლის შინაგანაწესი. გარდა ამისა, სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს უფლება/მოვალეობების ჩამონათვალს. იგივე შეიძლება ითქვას სკოლის პერსონალსა და სკოლას შორის გაფორმებულია ხელშეკრულებაზე, რომელიც თავის მხრივ შეიცავს დასაქმებული პირის უფლება/მოვალეობების საკითხს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

თანამშრომელთა ხელშეკრულებები;

მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების

მარეგულირებელი დოკუმენტი;

სკოლის სტრატეგიული გეგმა;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

სასკოლო სასწავლო გეგმა;

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია,

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,

ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები, რაც მოიაზრებს სამუშაო შეხვედრებს, სადამრიგებლო რგოლის მიერ დაორგანიზებულ მშობელთა კრებებს. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრთა თანაბარი ჩართულობა მმართველის პროცესში. ამისათვის სკოლაში შემუშავებულია ინფორმაციის მიწოდების მრავალფეროვანი მექანიზმები ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. კერძოდ, პირდაპირი კომუნიკაციის გარდა საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება ვებ გვერდის, სოციალური ქსელის საშუალებით, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. სკოლა ინფორმაციის მოსაწოდებლად იყენებს სოციალური ქსელების დახურული ჯგუფებს, უკუკავშირის მიღება ხდება როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით, გამოყენებულია როგორც სოციალურ ქსელი, ელექტრონული ფოსტა და კითხვარები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიური ჩართულობის კუთხით აღსანიშნავია სამეურვეუო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან 3 მასწავლებელი, 3 მშობელი და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია მასწავლებლებით, ასევე საგნობრივი კათედრები და მოსწავლეთა თვითმმართველობა. მშობელთა აქტიური ჩართულობა დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოებაზე, მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე. სკოლა ხელს უწყობს მშობლის ჩართულობას როგორც მართვის, ასევე, უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სხვა დასაქმებულ პირებთან, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებას. სკოლის სხვადასხვა სამართლებრივი აქტითა და დოკუმენტაციით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. კერძოდ, სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეები, როდესაც მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ამომწურავ ინფორმაციას (აკადემიური მოსწრება, დისციპლინა და სხვა). მოსწავლეთა მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გასაუმჯობესებლად სკოლა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების (ტელეფონი, ელ.ფოსტა, სოციალური ქსელი, უშუალო შეხვედრები) გამოყენებასთან ერთად სკოლას განხორციელებული აქვს რამდენიმე პროექტი. ერთ-ერთი მათგანია დაწყებით საფეხურზე განხორციელებული პროექტი „მშობელთა ჩართულობის გაუმჯობესება სასკოლო ცხოვრებაში“. აღნიშნული პროექტის განხორციელების პერიოდი მოიცავდა 6 თვეს და მის ფარგლებში განხორციელდა ისეთი აქტივობები, როგორიცაა:



- სამუშაო/საინფორმაციო შეხვედრა მშობლებთან და შეფასების რუბრიკების გაცნობა.
- საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარება (I-IV კლასებში)
- მშობლებისა და მოსწავლეების მონაწილეობით კონკურსი “ანიმაციური პერსონაჟები”
 - კითხვის კვირეული და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დისციპლინურ კომიტეტში მშობელი წევრების წარდგენასთან დაკავშირებით;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- მოსწავლეთა თვითმართვულობის ოქმი;
- საინფორმაციო დაფები;
- ჩატარებული ქატივობების ამსახველი მასალები;
- სკოლის ვებ.გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, რომლის მიზანია:
 - ა) ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;
 - ბ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
 - გ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება;
 - დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ის კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები, რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვას, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას, პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.



დირექტორის ბრძანებით დანიშნულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ჰყავს 2 მანდატური, 2 დარაჯი, სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო კამერებით. კერძოდ, 3 კამერა გარე პერიმეტრზე. 6 შიდა სივრცეში.

დაცულია სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება. სკოლის დარაჯი სკოლის ტერიტორიაზე შესული სტუმრის მონაცემებს, სკოლაში შემოსვლისა და გასვლის დროებისა და სტუმრის ხელმოწერით გატარებით აწარმოებს სპეციალურ ჟურნალს. სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, აღნიშნულის განრიგი გამოკრულია დერეფნებში. ყველა დამრიგებელს დილიდანვე აქვს კომუნიკაცია მშობლებთან მოსწავლეთა გაკვეთილების გაცდენის მიზეზების დასადგენად. სკოლაში მოქმედებს საშვთა სისტემა, რომელიც გაიცემა კონკრეტულ დღეს, კონკრეტულ მოსწავლეზე სკოლის დირექტორის მიერ და მისი წარდგენის გარეშე მოსწავლეს არ აქვს უფლება დატოვოს სკოლის ტერიტორია საგაკვეთილო დროს.

სკოლას ფიზიკური უსაფრთხოების კუთხით ჰყავს სკოლის ექთანი. მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, სკოლას უნდა ჰყავდეს ექიმი. 2022 წლის დეკემბრიდან 2024 წლის სექტემბრამდე სკოლას ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი, რომელმაც თანამდებობა დატოვა პირადი განცხადების საფუძველზე და სკოლამ ამის შემდეგ ექიმის ვაკანსიაზე ორჯერ გამოაცხადა კონკურსი (I ვაკანსიის ID 82278, ვაკანსიის გამოქვეყნება გამოხმაურების თარიღი 23/08/2024-27/08/2024. II ვაკანსიის ID83154 ვაკანსიის გამოქვეყნება გამოხმაურების თარიღი 29/08/2024 – 03/09/2024), გამომდინარე იქიდან რომ აღნიშნულ ვაკანსიაზე არ შემოსულა მსურველთა არც ერთი განცხადება, სკოლამ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მიიღო ნებართვა ექთნის ვაკანსიის გამოცხადების შესახებ 2024 წლის 9 ოქტომბრიდან სკოლას ჰყავს სკოლის ექთანი, რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2025 წლის 06 მარტის წერილი N8 25 00655541).

შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სკოლამ 2025 წლის 4 მარტს მიმართა უფლებამოსილ ორგანოს (N 227888), რომელთანაც უკვე გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება (სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №35/03 საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებები (CPV75240000)) და წარმომადგენლებმა უკვე დაათვალიერეს სკოლა და დასკვნა სკოლას მოეწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

სკოლას აქვს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მიერ გაცემული დოკუმენტი (N MES 7 25 0000288449) რომელიც ადასტურებს სკოლის შენობის მდგრადობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;



სკოლას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად, პირველ სართულზე მოწყობილი აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ნიავედება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, საკაცე, მაცივარი და კარადები. სკოლას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ჰყავს აყვანილი შესაბამისი ექთანა. აღსანიშნავია, რომ სკოლის სამედიცინო კაბინეტის უზრუნველყოფა საჭირო მედიკამენტებით ხდება ექთნის მიერ, არ ხდება გაზარჯული და ვადაგასული მედიკამენტების აღრიცხვა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპაციური ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 41/ნ ბრძანების მიხედვით. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია:** მკაცრად დაიცვას საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპაციური ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 41/ნ ბრძანების მოთხოვნები, საჭირო მედიკამენტების შეძენა მოხდეს შესყიდვების წესის მოთხოვნათა დაცვით, მოხდეს შესაბამისი ჟურნალების წარმოება გაცემული, ვადაგასული მედიკამენტების აღრიცხვის მიზნით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპაციური ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 41/ნ ბრძანების მოთხოვნები, საჭირო მედიკამენტების შეძენა მოხდება შესყიდვების წესის მოთხოვნათა დაცვით, მოხდება შესაბამისი ჟურნალების წარმოება გაცემული, ვადაგასული მედიკამენტების აღრიცხვის მიზნით (დაწყების თარიღი 16.06.2025 დასრულების თარიღი 30.09.2025)

3. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა სკოლაში რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით. ამავე მიზნით სკოლაში ჩამოყალიბებულია მრჩეველთა საბჭო.

სკოლას ჰყავს ორი მანდატური. მანდატურები ზრუნავენ სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგზე, მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქოემოციურ უსაფრთხოებაზე. მანდატურები აკონტროლებენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს. სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო კამერებით. კერძოდ, 3 კამერა გარე პერიმეტრზე. 6 შიდა სივრცეში.

დაცულია სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება. სკოლის დარაჯი სკოლის ტერიტორიაზე შესული სტუმრის მონაცემებს, სკოლაში შემოსვლისა და გასვლის დროებისა და სტუმრის ხელმოწერით გატარებით აწარმოებს სპეციალურ ჟურნალს.

სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, აღნიშნულის განრიგი გამოკრულია დერეფნებში.

ინფორმირებულობის მიზნით, სკოლაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული შსს-ს, მანდატურის სამსახურის ცხელი ხაზის ნომრები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში გაწერილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნულს ასევე არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი. სკოლას შემუშავებული აქვს რეფერირების შიდა ინსტრუქცია. ემოციური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დამრიგებლები და მასწავლებლები, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ მშობლებთან. თუ მოსწავლეს ამ კუთხით რაიმე პრობლემა აქვს, ამისამართებენ მანდატურების დახმარებით ფსიქოლოგთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები. სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დამლაგებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. დამლაგებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად, დამლაგებლები ვალდებული არიან ყოველდღიურად დააღაგოს სველი წესით და დაიცვას სისუფთავე სასკოლო ოთახებში, დერეფანში და ასევე სველ წერტილებში. დამლაგებლის მუშაობას ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს სკოლის ექთანი. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში, სკოლის შენობაში და სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილი იყო პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებითა და საჭირო რესურსებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და საწმენდი საშუალებების შესანახად სკოლაში არის გამოყოფილი ცალკე ოთახი. საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება აღნიშნულ ოთახში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და ვრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად მოიცავს და განმარტავს შემდეგს:



- ა) მონაცემთა სუბიექტები;
- ბ) მონაცემთა დამუშავების მიზნები და საფუძვლები;
- გ) მონაცემთა კატეგორია;
- დ) მონაცემთა მიღების წყაროები;
- ე) მონაცემთა სუბიექტის უფლებები;
- ვ) მონაცემთა გამჟღავნება და შენახვა;
- ზ) ვიდეომონიტორინგი
- თ) მონაცემთა უსაფრთხოება;
- ი) მონაცემებზე წვდომა;
- კ) თანამშრომელთა ვალდებულებები;

სკოლას საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანებით განესაზღვრა პირი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის ფუნქციის შესრულებას. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნობრიობის გათვალისწინება და პერსონალური მონაცემების დაცვა. სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებელია ჰქონდეს: დირექტორს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, დამრიგებელს, მასწავლებელს, დარაჯს და ექთანს. სკოლის დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს დაცულია და ინახება სკოლის კანცელარიაში. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რჩევა, დოკუმენტაცია მოეთავსებინათ დაკეტილ კარადებში, რაც განხორციელდა ვიზიტის პერიოდში.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება

ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;

მრჩეველთა საბჭოს ოქმები;

საგანგებო მართვის გეგმა (შეთანხმებული) ;

წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადების შესახებ და მათთან გაფორმებული ხელშეკრულება;

დოკუმენტი შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ;

ექთნის დანიშვნის ბრძანება;

სამინისტროს თანხმობის წერილი ექთნის ვაკანსიის გამოცხადებაზე;

ძველი საშტატო განრიგი ექთნის შტატით;

ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის ფუნქციის შემსრულებელი პირის განსაზღვრაზე;

ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების განსაზღვრაზე; •

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ამ დროისთვის სწავლობს 218 მოსწავლე. სკოლა არის კეთილმოწყობილი. სკოლა აშენდა 2001 წელს, 2004 წელს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. ბოლო 3 წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სკოლაში ეტაპობრივად განახლდა სპორტული დარბაზი, სკოლის შიდა და გარე საპირფარეშოები და სველი წერტილები. სკოლა აღჭურვილია ვიდეოთვალთვალის სისტემით. ამ დროისთვის სკოლის შიდა პერიმეტრზე განთავსებულია 6 კამერა და გარე პერიმეტრზე 3 კამერა.

სკოლა საკუთარი ბიუჯეტით ცდილობს ყოველწლიურად მცირე კოსმეტიკური რემონტის გაკეთებას საკლასო ოთახებისთვის. სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, სპორტული და სააქტო დარბაზები) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებებზე სრულფასოვანი განტვირთვა. სკოლაში ყოველ მოსწავლეზე გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, სკოლის ბალანსზე არის 470 მერხი და 475 მოსწავლის სკამი. საკლასო ოთახებში განთავსებულია მინიმუმ 1 დაფა, სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი, სამედიცინო კაბინეტი. სკოლას



აქვს სპორტული დარბაზი და სააქტო დარბაზი. სკოლას აქვს გარე მოედანი, რომელიც ამ დროისთვის არ არის კეთილმოწყობილი. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, შესაბამისი ინვენტარითა და სათანადო მოწყობილობებით აღჭურვილი, სადაც განთავსებულია სველი წერტილი ცხელი და ცივი წყლით. თუმცა ლაბორატორიაში სპეციალური გამწოვი არ არის დამონტაჟებული, რომელიც შესაძლებელს ხდის, რომ ჩატარდეს ისეთი ქიმიური რეაქციები, რომლებიც განსაკუთრებულ პირობებსა და შესაბამის გარემოს საჭიროებენ. აღნიშნულის შესახებ სკოლა წარმოადგენს შესაბამისობის გეგმას. სკოლას აქვს დაახლოებით 14000 კვ.მ. ეზო, რომელიც არის შემოღობილი, სკოლას ასევე აქვს რეკრეაციული სივრცე, რომელსაც მოსწავლეები და სკოლის მეეზოვეები უვლიან.

სკოლაში არსებული ლეპტოპების საერთო რაოდენობა არის 25 ცალი, ხოლო მუშა მდგომარეობაში მყოფი პერსონალური კომპიუტერების რაოდენობაა 3 ცალი. 23 პერსონალური კომპიუტერი. სკოლის ადმინისტრაციისთვის გამოყოფილია 3 პერსონალური კომპიუტერი, 2 პერსონალური კომპიუტერი განთავსებულია რესურს ოთახში. სამასწავლებლოში განთავსებულია 6 პერსონალური კომპიუტერი.

სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და მისი წიგნადი ფონდი შეადგენს დაახლოებით 4000 წიგნს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკითა და ლაბორატორიებით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკით, რესურს ოთახით, სააქტო დარბაზით, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით, ინგლისური ენის კაბინეტით, რომელიც 2018 წელს ამერიკელი მოხალისე მასწავლებლის მიერ მოპოვებული გრანტით აღუჭურვა ტენიკითა და ინგლისურენოვანი ლიტერატურით, სპორტული/სააქტო დარბაზით სარგებლობა შეუძლიათ სასკოლო საზოგადოების წევრებს. სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები. სკოლას აქვს ფართო და ნათელი დერეფნები; სკოლამ მიმდინარე წელს დაიწყო სკოლის ფოიებსა და ეზოში სივრცეების მოწყობა შესვენებებზე მოსწავლეთა სრულფასოვანი განტვირთვისთვის. სკოლაში არის სივრცე კვების ობიექტისთვის, აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით (ე.წ. სასადილოს მაგიდები, სკამები, სველი წერტილი ცხელი და ცივი წყლით).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით; სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება. ასევე, შედგენილი აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკაში. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა და სამტატო განრიგით დასაქმებულია ერთი ბიბლიოთეკარი. სკოლის ბიბლიოთეკა არის ადგილი, სადაც იმართება წიგნის განხილვები, პოეზიის საღამოები, დებატები,

დისკუსიები... წიგნადი ფონდი მოიცავს დაახლოებით 4000 წიგნს, სკოლა საკუთარი სახსრებით ცდილობს წიგნადი ფონდის მუდმივ განახლებას. სკოლის ბიბლიოთეკარი ჩართულია ყველა იმ პროცესსა თუ აქტივობაში, რომელიც წიგნიერებას, ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს შეეხება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სასკოლო გეგმით გათვალისწინებულ ინკლუზიური გარემოს შექმნას ხელს უწყობს ასევე ფიზიკური გარემოს ინკლუზიურობაც. ამ დროისათვის სკოლას არ ჰყავს შშმ პირი, თუმცა სკოლის შენობას აქვს სამი შესასვლელი, საიდანაც ერთ-ერთით შესაძლებელია პანდუსის გარეშე გადაადგილება. სკოლის ბიბლიოთეკა, სამედიცინო ოთახი, სპორტული და სააქტო დარბაზი, რესურს ოთახი არის განთავსებული სკოლის შენობის პირველ სართულზე. რაც შეეხება საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიას, საჭიროების შემთხვევაში მარტივადაა შესაძლებელი, მისი პირველ სართულზე განთავსება, ხოლო კომპიუტერული ლაბორატორია მოძრავია და მისი გადაადგილება შესაძლოა საჭიროებისამებრ.

სკოლის ეზოსა და რეკრეაციული სივრცის მდებარეობა, ბილიკების განლაგება იმდენად ხელსაყრელადაა მოწყობილი, რომ სპეციალური ადაპტირების გარეშე შესაძლებელია შშმ პირთათვის გადაადგილება და მისით სარგებლობა.

სკოლის შიდა საპირფარეოები მდებარეობს სკოლის შენობის პირველ სართულზე და მიმდინარე წლის ზაფხულში სკოლა გეგმავს საკუთარი სახსრებით (ან ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით), სველი წერტილის ადაპტირებას და ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. სკოლას მიეცა **რეკომენდაცია** შექმნას სწავლის ინკლუზიური გარემო, კერძოდ, მოხდეს ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ინკლუზიური გარემოს მოწყობა (დაწყების თარიღი 16.06.2025 დასრულების თარიღი 01.06.2026 წ.)

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან. სკოლაში ამ მიზნით არსებობს სივრცეები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით/ინვენტარით, სადაც მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ აქვთ დარჩენის, შეკრების, საუბრის შესაძლებლობა. სკოლის სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა, სკოლის ეზო და სხვა მატერიალური რესურსი/ინფრასტრუქტურა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

ბიბლიოთეკა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებას ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებაში. სკოლის ბიბლიოთეკარი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის ბიბლიოთეკარი პედაგოგებთან ერთად ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-შემეცნებით აქტივობებს სასკოლო საზოგადოებისათვის.

სკოლის სააქტო დარბაზში იმართება ინტელექტუალური შეჯიბრებები, ფილმის ჩვენება და დისკუსიები, კულტურული ღონისძიებები, პრეზენტაციები, სპექტაკლები.

სპორტულ დარბაზში იმართება სასკოლო თუ რაიონული შეჯიბრებები და ჩემპიონატები. სკოლის ინიციატივით დაწესებულია ყოველწლიური ჩემპიონატი ფრენბურთში მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის „მუხრან მაჭავარიანის თასის“ მოგების მიზნით.

სკოლის სპორტულ დარბაზში აქტიურად ვარჯიშობენ სკოლის ფრენბურთელ ვაჟთა და გოგონათა გუნდები, სპორტის მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ, გაკვეთილების დაწყებამდე და გაკვეთილების დასრულების შემდეგ.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არის სივრცე, სადაც გაკვეთილების გარდა ფუნქციონირებს და მუშაობს სკოლის STEM კლუბი. ინგლისური ენის კაბინეტი არის სივრცე, სადაც სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლებთან ერთად, მშვიდობის კორპუსის ამერიკელი მოხალისე მასწავლებელი ინგლისური ენის გაკვეთილების გარდა, წარმართავენ ინგლისური ენის საკლუბო მუშაობას. სკოლის ეზო კი წარმოადგენს სივრცეს, სადაც დასვენების გარდა იმართება საზაფხულო ბანაკები. მაგ: გასულ წელს განხორციელდა ორი მიმართულებით საზაფხულო ბანაკი: 1. სამოქალაქო განათლების საზაფხულო ბანაკი, 2. ინგლისურენოვანი საზაფხულო ბანაკი მშვიდობის კორპუსის ამერიკელი მოხალისე მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის აზომვითი ნახაზი;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- კომპიუტერების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ფოტომასალა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება



- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას აქვს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები. ასევე, ადმინისტრაციული პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის აქვთ მოწესრიგებული და გამართული პრინტერები, რომლებიც მუშაობს შეუფერხებლად. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი. მათ ემსახურებათ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის აიტი სპეციალისტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სკოლაში წამოჭრილი პრობლემების აღმოფხვრას.

სკოლა ელექტრონული საქმისწარმოებას ახორციელებს - email.mes.gov.ge, e-Flow.emis.ge, e-School.emis.ge ელექტრონულ სისტემაში, რაც შესაძლებლობას იძლევა სრულფასოვნად წარმართონ ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს კომპიუტერიული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. ინფორმაციულ ტექნოლოგიების ყველა გაკვეთილი კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტარდება. მოსწავლეებს

შეუძლიათ გაკვეთილების შემდეგ ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით დადგენილი წესის მიხედვით. აღნიშნული ტექნიკის გამოყენება შეუძლიათ მასწავლებლებს გაკვეთილების დაგეგმვა-ჩატარებისა და პროფესიული განვითარების მიზნით. ინგლისური ენის კაბინეტში განთავსებულია ერთი ლეპტოპი, რომელიც მშვიდობის კოპრუსის მოხალისე მასწავლებლის მიერ გრანტით იქნა შეძენილი 2017 წელს.

ასევე ერთი ლეპტოპი არის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრისთვის გამოყოფილი, რომელიც სამოქალაქო განათლების მასწავლებლის მიერ იქნა მოპოვებული USAID -ის სამოქალაქო განათლების პროგრამის მიერ გამოცხადებულ ტექნიკის კონკურსში გამარჯვებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიერ კომპიუტერების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემასა და საარქივო საქმეს. საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებას, დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობას, დოკუმენტების დამუშავებასა და შესრულებული სამუშაოს კონტროლს ახორციელებს საქმისმწარმოებელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მისი ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად არის განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს



სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. სკოლაში შემოსულ, გასულ და შიდა დოკუმენტაციაზე სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება ელექტრონულად, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით. სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად, ბრძანებები არის სისტემატიზებული საკადრო და საერთო ბრძანებებად. საქმისწარმოების წესის შესაბამისად, სკოლასაქვს ცნობების რეგისტრაციის ჟურნალი. ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ მოიძებნა დოკუმენტი, რომელშიც სკოლას განსაზღვრული ექნებოდა თანამშრომლების პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის ნუსხა, ექსპერტთა რჩევით, სკოლამ შეიტანე ცვლილება საქმისწარმოების წესში, დაამატა პირად საქმეში არსებული სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, სკოლის ყველა თანამშრომლის პირადი საქმე შეიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა დოკუმენტს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). ასევე, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტასა და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს .

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ში შეყვანილია სკოლის ყველა თანამშრომლის მონაცემები, ასევე ყველა მოსწავლისა და მშობლის, რომლებიც განახლებადია. სისტემაში ხორციელდება განრიგის შექმნა (გაკვეთილების ცხრილი სემესტრების მიხედვით), საგნების განაწილება, კლასების შექმნა , კანონმდებლობით გამოცხადებული ვადების დაცვით აისახება პირველკლასელთა ლიმიტი, მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება, რაც დასტურდება დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით, კლასის/დონის დაძლევა, ასევე მონაცემები სახელმძღვანელოების შესახებ, ბაზაში შეყვანილია სსსმ მოსწავლის მონაცემები, რომელსაც განსაზღვრული ჰყავს სპეც. მასწავლებელი. სრულდება მოსწავლეთა საფეხურის დაძლევა დონეების მიხედვით. ასევე eschool-ში ასახულია სამეურვეო საბჭოს წევრების მონაცემები. ხდება სკოლის ბარათის მუდმივი განახლება. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო წლის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტსა და საკანონმდებლო მაცნეს საჯარო ინფორმაციის წარდგენის შესახებ ანგარიშს.

გარდა ამისა, სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დირექტორის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით;
- რეგისტრაციის ჟურნალები;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;



5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს სკოლის ელექტრონული ფოსტის argveti@mes.gov.ge, სკოლის ვებ. გვერდისა და ფეისბუქ გვერდის, სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით. ამავე მიზნით ასევე აქტიურად იყენებს სკოლა ელექტრონულ ჟურნალს, „თიმის“ საგანმანათლებლო პლატფორმას, სოციალურ ქსელს, რომელიც მეტად აქტუალურია მშობლებთან საკომუნიკაციოდ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. საჭიროების შემთხვევაში სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს დაადასტუროს ინფორმაციის უტყუარობა. სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება ხდება პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვის მიზნით საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით. სკოლის facebook გვერდსა თუ საინფორმაციო დაფებზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რომელიც მუდმივად განახლებადია. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საჯარო სკოლის დირექცია/პედაგოგები უკუკავშირს იღებენ მეილის, eflow, teams საგანმანათლებლო პლატფორმის, სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება.

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. უკუკავშირის მიღება ასევე ხდება უშუალო შეხვედრები, მშობელთა კრებების დროს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

სკოლას აქვს ვებ გვერდი, <https://skolebi.emis.ge/>. სკოლა სწავლებას ახორციელებს სახელმწიფო ენაზე, შესაბამისად ინფორმაცია ვებ.გვერდზე განთავსებულია სახელმწიფო ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას გვერდი, <https://skolebi.emis.ge/>, შეიცავს სკოლის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, პროგრამები, მოსწავლის ქცევის კოდექსი, ინფრასტრუქტურა, ფინანსები, ინფორმაცია მოსწავლის პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

ინდიკატორი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პროფილი eschool-ის ბაზაში
- Eflow, email.mes.gov.ge დათვალიერება
- <https://skolebi.emis.ge/>,

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის ფინანსება ვაუჩერული დაფინანსებით, რაც ძირითადად ხმარდება თანამშრომელთა ხელფასებს, სკოლისათვის აუცილებელი რესურსების, საკანცელარიო და საოფისე ნივთების შეძენას. სკოლას არ აქვს დამატებითი ეკონომიკური შემოსავალი.

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე კანონის დადგენილ ვადებში. ბიუჯეტის შემუშავებისას ისინი ხელმძღვანელობენ გასული წლების ანალიზის(ხარჯებისა და შემოსავლების) შედეგებით. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვისთვის საგნობრივი კათედრები მათ საჭიროებებს აცნობენ დირექციას. დირექტორი ბუღალტერთან ერთად იკვლევს საჭიროებებს, შეადგენს ბიუჯეტის პროექტს, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს ბიუჯეტის კორექტირება. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის განვითარებასა და სწავლა-სწავლების პროცესს. სკოლის მომდევნო წლის შესყიდვების გეგმას ადგენენ წინა წლებისა და ბაზრის კვლევის გათვალისწინებით და ამტკიცებენ მიმდინარე წლის 20 ნოემბრამდე. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი წარსდგება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წლის ფინანსური ანგარიშით, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს ოქმით. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლის ფინანსურ რესურსებს გეგმავს და განკარგავს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე. ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმის შემუშავებისას, სკოლა ითვალისწინებს გასული წლის გამოცდილებასა და საპროგნოზო ბიუჯეტს. შესყიდვების გეგმა შედგენილია კანონით დადგენილ ვადაში. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი. ფინანსური რესურსების განკარგვის მონიტორინგის ერთგვარი საშუალებაა სკოლის დირექტორის მიერ წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა. აღნიშნული დასტურდება სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმით, რომლითაც სკოლის დირექტორს სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენილი აქვს წლიური ფინანსური ანგარიში. სკოლის ბიუჯეტის გათვლისწინებით,

სასკოლო სასწავლო გეგმითა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროცესები მიმდინარეობს შეუფერხებლად., ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წლიური ფინანსური ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით;
- სკოლის 2023-2024 წლის და 2024-2025 წლის ბიუჯეტი;
- შესყიდვების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

